სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 071
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 272401

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სკოლა
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, I კორპუსი, V სართული, დეკანატი–ოთახი №97
ტელ.: 0350 273671; E-mail: soc.faculty@tesau.edu.ge

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი (I საფეხური) |
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | დამატებითი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | |
| სწავლის ხანგრძლივობა | სამი აკადემიური წელი (ექვსი სემესტრი) |
| ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა | 60 კრედიტი |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ია ჯიმშიტაშვილი, ეკონომიკის დოქტორი, ტელ. (+995) 27-1499 (სახლი), (+995) 23-3671 (სამსახური), (+995) 95-19-4036 (მობ.), ikuna75@yahoo.com |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | სტუდენტს მისცეს სათანადო ცოდნა მმართველობით საქმიანობაზე. გამოუმუშაოს ის აუცილებელი უნარ-ჩვევები, რომელიც მას ეფექტური მმართველობითი საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემს. ორგანიზატორული, მარკეტინგული, საინფორმაციო და სხვა სახის ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი საქმიანობის შესაძლებლობის ათვისება. |

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების ცოდნა | პროფესიული პასუხისმგებლობის გაცნობიერება |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | ბიზნესი მართვის პროცესისას წარმოქმნილი პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების მოდელირება და მიღება | - ორგანიზაციაში შექმნილი სხვადასხვა სიტუაციის გამოკვლევა და ანალიზი<br>- პროფესიული საქმიანობის უნარი სოციალური და ეთიკური ნორმების დაცვით |
| დასკვნის | მმართველობითი | არსებულ ინფორმაციაზე |

| | | |
|---|---|---|
| **უნარი** | პრობლემის გადასაწყვეტად შესაბამისი ინფორმაციის მოძიების, დამუშავების და გამოყენების უნარი | დაყრდნობით ადეკვატური დასკვნის გაკეთების უნარი. |
| **კომუნიკაციის უნარი** | სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან პროფესიონალურ საკითხებზე მშობლიურ და უცხო ენებზე კომუნიკაციის უნარი | თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცოდნა და ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისების უნარი |
| **სწავლის უნარი** | არჩეულ მიმართულებაში სწავლის პროცესის დმოუკიდებლად მართვის და სწავლის შემდგომ საფეხურზე დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი | შეუძლია პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით სწავლა |
| **ღირებულებები** | იცნობს პროფესიონალური საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. | აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური რეზულტატის მისაღებად. |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა**

შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვროს შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვროს შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს წერითი ფორმით ორჯერადად, აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვ.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი აუცილებელია შეფასდეს ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგეს სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდეს სტუდენტებთან. სასურველია, რომ შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევდეს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვროს შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

2) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

| | |
|---|---|
| | 3) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.<br><br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;<br>2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;<br>3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;<br>4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;<br>5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;<br>ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.<br>2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |
| **დასაქმების სფერო** | ნებისმიერი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია. |